# იმერეთი

№ 6

წელიწადი მეოთხე.

მისამართი: ქუთაისი, რედაქცია გაზ. „იმერეთი“

სამშაბათი 13 იანვარი 1915 წ.

**ფასი:** წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 7 მან., თვიურათ 6 აბაზი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

## ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.



6 იანვრიდან გამოდის ყოველდღიური

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**= „იმერეთი“. =**

გაზეთი გამოდის ყოველდღე გარდა კვირა-უქმეების შემდეგი დღეებისა.

**გაზეთი ღირს:**

1 წლ.—7 მ. 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მ. 10 შ., 1 თვით—4 აბ. საზღვარგარეთ—ორჯერ მეტი. ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება: გამოწერის დროს 3 მ. 1 აპრილს 2 მ. და 1 ივნისს 2 მ.

**მისამართი:** ქუთაისი, თფილისის ქუჩა, სახლი ჰ. ი. გოკიელოვისა.

**ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:** Кутаисъ, Редакція „ИМЕРЕТИ“.

რედაქციის კანტორაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება დილის 10—2 საათ., საღამოს 6—8 საათამდი.

რედაქცია სთხოვს კორესპონდენციების ავტორებს სწერონ ქაღალდის ცალ გვერდზე გარკვევით. წვრილმან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. მისამართი: Кутаисъ, ред. „Имерети“ почт. ящ. № 39.


არქიმანდრიტი დოსითეოსი და მაქსიმე დავითის ძე ბერძნიშვილი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 9 იანვარს საღამოს $7^1/_2$ საათზე ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა უსაყვარელესი შვილი პირველისა, ხოლო მეორისა ძვირფასი ძმა სტუდენტი

**ი ა კ ო ბ  დ ა ვ ი თ ი ს  ძ ე  ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი.**

პანაშვიდები ყოველდღე დილით 11 საათ. და საღამოთი 5 საათზე მოწამეთას მონასტერში. წირვა და ანდერძის აგება სამშაბათს და თფილისში გასვენება ოთხშაბათს, დილის მატარებლით.


**უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია**

**კ. ი. ოცხელისა და ამხ. ქუთაისში**

**ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.**

**კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში** მოიპოვება ყოველგვარი **სახელმძღვანელო** და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე **კალენდრები 1915 წლის:** ჯიბის, კედლის, იურიდიული, საექიმო და სხვა. ატლასები, თვალსაჩინო სურათები. გეოგრაფიული ქარტები, მათ შორის **ომის ქარტები** დაწყებული 6 მანეთიდან ვიდრე 3 შაურამდი.

გვერდით გამართულია **ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა,** სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო და საკანცელარიო ნივთები.

კატალოგები უფასოთ. თ.

**სტუდენტი,**

**უმაღლესი დასაწყისი სასწავლებლის მასწავლებელი**—ამზადებს მოწაფეებს საშუალო სასწავლებლების ყველა კლასებისთვის. აგრეთვე უმაღლესი დასაწყისი და ორკლასიან სასწავლებლების მასწავლებლად, „ჩინზე“ და აფთიაქის მოწაფეთ. შეიძლება მოწაფესთან სახლში სიარული, მისამართი: **ძველი თფილისის ქუჩა. ჟორჟოლაძის სახლი.**

6— .

**კბილის ექიმები.**

**მენაღარიშვილი და ტრუფანოვა**

დროებით

ბათუმიდან გადმოვიდენ

**ქ. ქუთაისში.**

თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6.

არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას.

აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამოდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით.

**სამკურნალო**

**კაბინეტი ელექტრონისა და სინათლის**

**ექიმის გაბრიელ იოსების ძის გოკიელის** შინაგანი ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფის მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6 8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი. (თ).

**დოკტორი** მედიცინისა, პრივატ-დოცენტი ხარკოვის უნივერსიტეტის, **ვარლამ პ—ძე მოსეშვილი** 7 დეკემბრიდან ავათმყოფების მიღებას დაიწყებს (შინაგანი და ნერვებით სნეულებიანი) დილის 8—3 საათამდი, **გოშპიტლის ქუჩა, ბართლომე მოსეშვილის სახლში № 6.**

**ექიმი** **ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე დილით 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში.


# ევროპის ომი.

**პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან.**

### რ უ ს ე თ ი.

**პეტროგრადი.** 10. იანვარი. ოფიციალური. უმაღ მთავარსარდლისაგან: მდ. ვისლის მარჯვენა ნაპირზე, სადაც ჩვენი ჯარი მტრის პირდაპირ სდგას, უმნიშვნელო შეტაკებები ხდებოდა. დანარჩენ ფრონტებზე 9 იანვრის განმავლობაში შედარებით სიწყნარე იყო, გარდა რამდენიმე ნაწილისა, სადაც ჩვეულებრივათ თოფითა და არტილერიით სროლა სწარმოებდა. გერმანელების ცდა-გახშირებული იერიშების მოტანის შესახებ, ჩვენი არტილერიის ცეცხლის წყალობით უნაყოფო რჩებოდა. ბუკოვინაში უღელტეხილებთან, ავსტრიის დიდძალი ჯარი გროვდება. დამტკიცდა, რომ მტერმა 8 იანვარს ქვეითა ჯარის ერთი დივიზიით და არტილერიით იერიში მოიტანა ჩვენს ბანაკზე კირბიბასთან, მაგრამ უკუქცეულ იქნა და 9 იანვრის დილამდი ჩვენი ჯარი დაჭერილ პოზიციებზე გამაგრდა. ჩვენ ამ ბრძოლაში ხელში ჩავიგდეთ 200-ზე მეტი ტყვე. კარპატების უღელტეხილზე ძლიერი ქარბუქია.

**პეტროგრადი.** 10 იანვარი. გამოქვეყნდა უმაღლესათ დამტკიცებული მინისტრთა საბჭოს დებულება დროებითი სარევიზიო კომისის დაარსების შესახებ ომის საჭიროებათათვის გაწეულ ხარჯების შესამოწმებლათ.

**პეტროგრადი.** 10 იანვარი. 6 იანვრის ღამეს გერმანელებმა ჩვენი ბანაკის წინ რავკაზე ხიდი გააკეთეს ჩვენს პოზიციებზე იერიშის მოსატანათ. 9 იანვრის ღამეს ჩვენი მზვერავების კამანდამ პრაპორჩიკ ფილიმონოვის უფროსობით, მიუხედავათ მტრის ბანაკიდან თოფისა და არტილერიის ცეცხლისა, მიუახლოვდა ხიდს და ააფეთქა იგი. ამ დროს დაგვეჭრა ოთხი მზვერავთაგანი.

ჩვენმა ნაღმოსნებმა რომლებიც იმყოფებიან ბათუმსა და ტრაპიზონს შუა 6 და 7 იანვარს დასძირეს ოსმალების 11 შხუნა და 15 ნავი დატვირთული სურსათით, რომელიც დანიშნული იყო, ანატოლიის ჯარისათვის ამასთანავე ყუმბარები დაუშინეს რიზასა და ხოფს შუა ორ ყაზარმას და დასწვეს. დიდი ბრძოლა სწარმოებს ჭოროხის იქითა მხარეს. აქ ოსმალებს ძალიან მაგარი პოზიციები უკავიათ სხვა ასპარეზზე შესანიშნავი არა მომხდარა რა.

**პეტროგრადი.** 7 იანვარი. ოფიციალური. გენერალურ შტაბისაგან. ავსტრიის მთავარ ბინის ბეჭვდითი სიტყვის ბიურო იტყობინება, რომ 26 დეკემბერს პერემიშლთან ბრძოლის დროს ჩვენს იერიშებს წარმატება არ ქონდა. სიმაგრეების გარნიზონი მწყობრათ მოქმედობდა, რომელმაც ბევრი ტყვე და სანოვაგე იგდო ხელთ. დაბოლოს ვითომ ჩვენს ჯარში არეულობა მომხდარიყო, ეს ცნობა სიმართლეს მოკლებულია და საზიზღარ ჰორიკანობის მეტრს არაფერს ამტკიცებს, რაც ჩვენი ძლევა მოსილ ჯარის შეურაცხოფათ უნდა ჩაითვალოს, რომელიც პერემიშლს ალყავდა. რასაკვირველია ჩვენი საზოგადოება ასეთ ცილისმწამებელთ შესაფერს მსჯავრს დასდებს. რაც შეეხება დანარჩენ ავსტრიის ცნობებს, მათ გასაბათილებლათ, დასაბუთებულ ცნობებიდან სჩანს, რომ განვლილ ორი თვის შემდეგ პერემიშლთან ჩვენი გამარჯვება გამოიხატა წართმეულ ოთხ ტყვიის მტყორცნელებში და არა უმეტეს ექვსი მეათედი ჯარის კაცთა ტყვეთ წამოყვანაში. ეს ზარალი ჩვენ მოგვივიდა ერთს შეტაკების დროს, როცა ჩვენი პოლკის ორი ნაწილით ჩვენს ერთს როტას დავაწქით, რომელიც თავის დროზე ვერ გამაგრდა. გარნიზონის თერიშის მოგერების დროს ტყვეთ წამოვიყვანეთ 27 აფიცერი, 1906 ჯარის კაცი, ხელთ ვიგდეთ შვიდი ტყვიის მტყორცნელი და ერთ ნახევარი მილიონი პატრონი, საველე რადონის გზის ვერსები, ბევრი იარაღი და სამხედრო ასაფეთქებელი მასალა. ავსტრიელების ზარალის აღსანიშნავათ საკმარისია შევნიშნოთ, რომ გარნიზონის იერიშის მოგერების დროს ბრიჩათეს გზით ჩვენ დავკარგეთ 2000 მოკლული და დაჭრილი, მათ რიცხვში ბევრი აფიცერი. ამ ზარალის შემდეგ მტრის იერიში აღარ განმეორებულა.

**პიატიგორსკი.** ღამის ორ საათზე ხელახლა იყო მიწის ძვრა. სადგურ. „მინერალ ვოდი“-თ, ყოველ საათში მიდიან მატარებლები, რომლებიც დატვირთული არიან ტყვე ოსმალებით, რომლებიც წამოყვანილ არიან უკანასკნელ ბრძოლის დროს.

### დანია.

**კოპენჰაგენი.** 10 იანვარი. ვენიდან ოფიციალურათ იუწყებიან, სამხედრო სესხზე ხელის მოწერით 3900 მილიონი კრონი მოგროვდაო.

**სტოკჰოლმი.** 10 იანვარი. გაზეთებმა გამოაქვეყნეს თეირანიდან მოსული წერილი მაიორ კლინბერგისა. წერილში აღნიშნულია, რომ შვეციის აფიცრებმა სამსახური დასტოვეს 16 დეკემბერს, რადგანაც სპარსეთის მდავრობა უფულობით ვერ აკმაყოფილებს მათ. რუსეთი და ინგლისი კი სპარსეთს ახლა ყურადღებას აღარ აქცევენ. შვეციის აფიცრების უფროსმა გენერალმა იამარსონმა წინადადება მიიღო ჩინეთის ჟანდარმერიის ორგანიზაციის მოწყობის შესახებ.

**კოპენჰაგენი.** 2 იანვარი. ვენიდან იტყობინებიან, მინისტრი ბურიანი დღეს გერმანიის მთავარ ბინისკენ გაემგზავრა და იმპერატორ ვილჰელმთან მოილაპარაკებსო.

### ინგლისი.

**ლონდონი.** 10 იანვარი. მელბურნიდან იტყობინებიან, რომ კრეისერმა „ავსტრალია“-მ 24 დეკემბერს დალუპა გერმანელების კრეისერებისათვის საჭირო მასალით დატვირთული გემი. ეკიპაჟი ტყვეთ იხელთეს.

**ლონდონი.** 10 იანვარი. სამეფო ექიმთა საზოგადოების წევრმა ტრივსმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ საფრანგეთში მყოფ ინგლისის ჯარში 212 შემთხვევა იყო ტიფით ავათმყოფობისა. მათ შორის 11 პირი, რომელთაც წინასწარ აუცრეს, ყველანი მორჩენ.

**ლონდონი.** 11 იანვარი. სააღმირალომ დაადასტურა ცნობა გერმანელების ჰაეროპლანების თავდასხმის შესახებ დიუნკერკზე. მტრის ჰაეროპლანებს შესამჩნევი ზარალი არ მიუყენებია. ერთი ყუმბარა ამერიკის საელჩოს შენობასთან გასკდა. შენობას შუშები და შიგნით მორთულობა დაუზიანა. გუშინ ინგლისის ორმა მფრინავმა ზეებრიგეში 27 ყუმბარა ესროლეს წყალქვეშა ნავებს და კბოდოვანზე დადგმულ ზარბაზნებს. ფიქრობენ, რომ წყალქვეშა ნავი ძლიერ დაზიანდა, გაფუჭდენ აგრეთვე ზარბაზნებიო და მოსამსახურეებთაგანაც ბევრი დაიღუპაო. ჰაერში დაზვერვის დროს ინგლისელების ერთ ფრინავს გერმანელების შვიდი ჰაეროპლანი გარს შემოერტყა, მიუხედავათ ამისა, მან მოახერხა გამოსვლა თუმც სუბუქათ დაიჭრა, მაგრამ განაგრძობს ფრენას.

**ლონდონი.** 10 იანვარი. 9 იანვარს 10 საათსა და 30 წ. რამოდენიმე ცეპელინმა კრომეროვის თავზე გადაიარა და მივიდა ინგლისის შუაგულამდი. ცეპელინებს ყუმბარები არ უსვრიათ და ეკავათ სამხრეთ-აღმოსავლეთის გეზი. მატორების ხმაურობა პირველათ სანაპირო ყარაულებმა გაიგონეს, შემდეგ სამხედრო პატრულებმა. ცეპელინების გამოჩენისას ქალაქში ელექტრონისა და გაზის ფარნები ჩააქრეს.

### ბულგარეთი.

**სოფია.** 10 იანვარი. ავსტრიის მთავრობამ გაანთავისუფლა 2000 ტყვე ბულგარელი, რომელნიც სერბიის ჯარში იბრძოდენ ავსტრიელების წინააღმდეგ. ბევრი მათგან ავათ იყვენ ტიფით, რომელიც ბულგარეთის მცხოვრებლებს გადაედვა. კონსტანტინოპოლიდან იუწყებიან, რომ რუმინიის ელჩი მანო სულთანმა მიიღო დიდი ზეიმით და ჩააბარა მას ახალი რწმუნების ღრამოტა.

### იტალია.

**რომი.** 10 იანვარი. რომის უნივერსიტეტში პროფესორმა ბერგერმა პირველი ლექცია წაიკითხა. ბერგერი შთამომავლობით პოლონელია. მას ტაშისცემით მიეგებენ პირველათ, მაგრამ, როცა თავის ლექციაში ავსტროფილური გრძნობა გაატარა, უკიჟინეს და ლექციის დასრულების ნება არ მისცეს. სტუდენტებმა გაზ. „ჯიორნალე დიტალიის“-ა და „იდეა ნაციონალე“-ს საღამოს გამოშვებში მოათავსეს საპროტესტო წერილები, რომლითაც აღნიშნეს, რომ იტალია ავსტრიის პროფესორებს ღებულობს, ავსტრია-კი იტალიის პროფესორებს არ ღებულობსო.

### ინგლისი.

**ლონდონი.** ამსტერდამიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ ინგლისის გემს „დურფორდ“-ს მიუახლოვდა გერმანიის წყალქვეშა ნავი, რომელმაც გემს ესროლა ოთხი ტორპედი და გაიქცა. გემი დაიძირა. გემის მოსამსახურენი ჰოლანდიის ერთმა გემმა გადაარჩინა.

### შვეიცარია.

**ბერნი.** კავშირის პრეზიდენტმა მიიღო პოლონეთის დეპუტაცია, რომელშიაც შედიოდენ პ. სენკევიჩი, პროფ. კოვალსკი, ვექ. ოსუხოვსკი და სხ. დეპუტაციამ განუცხადა პრეზიდენტს, რომ მათ სურთ დაარსონ პოლონელებისათვის საერთაშორისო დახმარების ორგანიზაცია. გენერალური კომიტეტი ამ ორგანიზაციისა იქნება შვეიცარიაში, რომლის საპატიო თავჯდომარეთაც იქნება პან. სენკევიჩი. ორგანიზაციას, მხოლოდ კაცთმოყვარული ხასიათი ექნება, რომელიც გაანაწილებს შემწეობას პოლონელთა შორის, განურჩევლათ ქვეშევრდომობისა, პოლიტიკური რწმენისა და სარწმუნოებისა. შემწირველებს შეუძლიანთ მიმართონ, ლოზანაში გენერალურ კომიტეტს. კავშირის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ შვეიცარიის ხალხი სიამოვნებით მიიღებს ასეთ როლს და ყოველნაირ დახმარებას გაუწევს ასეთ კარგ დასაწყისსო.

### ამერიკა.

**ვაშინგტონი.** წარმომადგენლების პალატამ მიიღო ჯარის საჭიროებისათვის 101 მილიონის კრედიტი.

**ნიუიორკი.** ამერიკის გემი „ვილგელმონა“ გაემგზავრა ჰამბურგს, დატვირთული სანოვაგით და სხვა სურსათით. ამერიკის ფირმის გემით გაგზავნილი სურსათი დანიშნულია განსაკუთრებით არასამხედრო პირთათვის, და თუ ამ გემს დაატყვევებენ, მაშინ გამგზავნი გარეშე საქმეთა სამინისტროში პროტესტს განაცხადებს. გემის პატრონებმა მიმართეს გრეის, რომელმაც უპასუხა, რომ საქმეები და

სურსათი მხოლოდ პირობითი კონტრაბანდი არისო. იმის შესახებ თუ გემს როგორ მოექცევიან, მან არაფერი არ უპასუხა.

**ვაშინგტონი.** ქალაქ ლაპასში, ამერიკის კრეისერზე გახეთქილ ქვაბისაგან მოკლულია 4, დაჭრილია 9.

**ჩინეთი.**

**ხარბინი.** მთელ მანჯურიაში წარმოუდგენელი სიცივეა. ხარბინში ყინვა 40° აჭანს. ლიაოიონში, ჩინეთის სატუსაღოში, გაიყინა 19 პატიმარი და 30 კაცს ხელფეხი გაუყინა.

**იაპონია.**

**ტოკიო.** მომავალ არჩევნების გამო, გაიხსნა გუბერნატორების თათბირი. გონიათ, რომ სეიუკაის პარტია დაკარგავს 50 ხმას მაინც, რის შემწეობითაც კაბინეტი პარლამენტში იშოვის უკვე ხმების დიდს უმეტესობას.

**საფრანგეთი.**

**პარიზი.** 9 იანვარი. გავასის სააგენტო იუწყება, ბელგიაში მტერმა ძლიერათ დაუშინა ზარბაზნები ნიუპორტს. ჩვენმა ქვეითა ჯარმა ცოტათი წინ წაიწია აღმოსავლეთისაკენ. ლამბარდზიდეს გზატკეცილიდან იპრსა და უაზს შუა ჩვენი არტილერია მარჯვეთ უშენდა მტრის თხრილებსა და ბატარეიას. სუასონის მიდამოებში მდგომარეობა უცვლელია. ბერიობაკის ახლოს ჩვენ ახლოთ დავიკავეთ თხრილები, რომელიც წინათ უბრძოლათ დავტოვეთ მტრისგან ძლიერათ ყუმბარების დაშენის გამო. პერტის რაიონში მტერმა უნაყოფო იერიში მოიტანა. 7 იანვარის ღამეს ბოგეჟურას ჩრდილო-აღმოსავლეთით, მაასსა და მოზელს შუა, სენ მიელის სამხრეთაღმოსავლეთით აარემონის ტყეში გაცხარებული სროლა სწარმოებდა ზარბაზნებით. მტერმა საშუალება არ მოგვცა შეგვენარჩუნებია თხრილები, რომელიც გუშინ 150 მეტრის მანძილზე დავიკავეთ პანტემუსონის ჩრდილო-დასავლეთით. მტერმა ხელახლათ ჩაიგდო ხელში ნაწილი თხრილებისა. დანარჩენი ნაწილი კი ჩვენ შევინარჩუნეთ. ვოგეზებში მტერმა სენდიეს ქვესი ყუმბარა ესროლა სხვილი ყალიბისა, რომელთაც დიდი ზიანი არ მოუყენებია. ბონაკისა და შმიუხტის ულელტეხილებს შუა ჩვენმა არტილერიამ მტრის ბატარეია ჩააჩუმა. ელზასში ქვეითა ჯარის ბრძოლა მწვავე ხასიათს იღებს და ხელჩართულ ბრძოლათ გადაიქცა. ტირმიჟთან ჩვენმა არტილერიამ მტრის შეჯგუფული ჯარი გაფანტა.

**პარიზი.** 10 იანვარი. საღამოს ოფიციალური ცნობით, 9 იანვარს იპრის სამხრეთაღმოსავლეთით მტერმა ბრძოლის ველზე დიდი აქტივობა გამოიჩინა, ვიდრე უკანასკნელ დროს. გასულ ღამეს უმნიშვნელო სროლა სწარმოებდა სენ მეერნის ტყის რაიონებში, სადაც მტრის ერთი ბატარეია ჩვენმა არტილერიამ ჩააჩუმა. არგონებში ორივე მხრიდან გაშმაგებული იერიშები სწარმოებდა მთელი დღის განმავლობაში. ღამემდი ჩვენ ყველა პოზიცია შევინარჩუნეთ. გარტმანვეილერკოპის რაიონში ჩვენ დავმარცხდით. ბრძოლა ისევ გრძელდება.

**დიუნკერკი.** 10 იანვარი. დილის 9—10 საათზე გერმანელების ჰაეროპლანებმა ელესონის თავზე გადაიფრინეს. ესროლეს 40 ყუმბარა. ზარალი უმნიშვნელოა.

**პარიზი.** 10 იანვარი. გავასის სააგენტო იუწყება, რომ ჩვენი ქვეითა ჯარი გასულ დღეებში ბუნებრივ გაფუჭებულ საველე თხრილების შესწორებას უნდებოდა. ლამბარდზიდეს რაიონში ჩვენ წინ წავიწიეთ 100 მეტრის სიგრძეზე. იპრის, არასის, ალბერრუასა და სუასონის რაიონში არტილერიის ბრძოლა სწარმოებდა. ბევრ პუნქტზე ჩვენ წარმატება გვქონდა. ბერიობაკს მტერმა ძლიერად დაუშინა ზარბაზნები. ბოსეჟურაში მტრის იერიში უკუქცეულ იქნა. არგონის სიმაღლეებზე, ფონტერმადამთან, როგორც იტყობინებოდენ, გერმანელები დამარცხდენ სენიუბერთან მტრის შეტევა ჯერ არ დასრულებულა. უკანასკნელი ცნობებით, ჩვენ ყველა პოზიციაზე ჯერჯერობით გამაგრებული ვართ. ჩვენმა არტილერიამ მტერი იძულებული გახადა სამხედრო სურსათის საწყობი დაეტოვებია და შესამჩნევათ დააზიანა ფეხით გადასავლელი ხიდები ელზასში ქვეითა ჯარის ბრძოლა გრძელდება გარტმანვეილერ-ლერკოპფის რაიონში. აქ ჩვენ მტრის პირისპირ ძლიერ ახლო ვდგევართ და შეუჩერებელი ბრძოლა სწარმოებს. სერნაში მტერმა ერთი უშედეგო იერიში მოიტანა. სამხრეთით ჩვენ წინ წავიწიეთ პტიკალბერის გზით. ასპაკის ხიდის ჩრდილოეთით, გერმანიის რადიოტელეგრაფის თანახმათ, გერმანელებმა თხრილები დასტოვეს უბრძოლველათ, რომელიც შედეგი იყო ჩვენი იერიშისა. ამ ბრძოლის დროს ტყვეთ ჩავიგდეთ ხელში 40 კაცი.

**პარიზი.** დიუნკერკში და მის მიდამოებში გერმანელმა მფრინავებმა ჩამოაგდეს 80 ყუმბარა. რამდენათაც გამორკვეულია, სხვერპლის რაოდენობა. 20 კაცია დაჭრილი, რომლისგანაც 7 გარდაიცვალა. ყუმბარებისგან ცეცხლი გაუჩნდა სხვადასხვა საწყობებს. ინგლისის და საფრანგეთის მფრინავები გამოუდგნენ გერმანელებს. ერთი ჰაეროპლანი ჩამოაგდეს კიდეც და ზედ მყოფი ორი არტილერიის აფიცერი ტყვეთ წამოიყვანეს.

# ოსმალეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** ოფიციალური. კავკასიის ჯარების შტაბისაგან: ჭოროხის იქითა მხარეში ოსმალებთან მედგარი ბრძოლა გრძელდება, მტერს ძლიერათ გამაგრებული პოზიცია უჭირავს. დანარჩენ ფრონტზე შეტაკებები არ მომხდარა. სწარმოებდა მხოლოდ თოფით სროლა.

# ჟურნალ-გაზეთებიდან.

გერმანელები ტორნში ბევრ ჰაეროპლანებს აგროვებენ და დიდი ჯარი გადაჰყავთ. როგორც ჩანს გერმანელები შეწუხებულები არიან ჩრდილო პოლონეთში რუსების გამარჯვებით, სადაც რუსებმა მდ. სკვრამდი მიაღწიეს, რომელიც გერმანიის საზღვარს 40 კილომეტ. მანძილზეა დაშორებული, რაც სახიფათოა გერმანელების მარცხენა ფლანგისათვის. გერმანელებმა ბზურზე ავსტრიის ჯარი დააყენეს და თავიანთ კორპუსები გალიციასა და ბუკოვინაში გაგზავნეს.

——

ინგლისის კრეისერებმა ჩრდილო ზღვაზე მეთევზეების მრავალი ნავი დაიჭირეს, რომლებიც ნეიტრალური ბაირაღებით მიდიოდენ, დატვირთული ასაფეთქებელი ნივთიერებით.

——

გერმანელები ქალ. იტელში, ოსტენდესთან თავის ,,ცეპელინებს'' ნიადაგს უმზადებენ, სადაც საგანგებოთ დამზადებულია ანგარები ჯავშნიანი ბანებით და მიტანილი აქვთ მძიმე ზარბაზნები.

——

გერმანელების ორი „ცეპელინი“, რომელიც ინგლისზე თავდასხმის შემდეგ დაბრუნდა, ჰოლანდიაში ჩამოვარდნენ და ერთი „ცეპელინი“ თავისი ეკიპაჟით და იწვა.

——

როგორც გაზეთები გვატყობინებენ, სახელმწიფო სათათბიროს სხდომა, ორი დღეა რაც გრძელდება.

——

გადმოგვცემენ, რომ რუმინიის გამოსვლა ტრანსილვანიის დაჭერით თებერვალში მოხდება, რომელსაც გამაფრთხილებელი მნიშვნელობა ექნება.

——

ირკვევა, რომ ავსტრიას სერბიაში ბრძოლის დროს ხუთი კორპუსი დაჰკარგვია.

——

ლიუკ'ემბურგის საჰერცოგომ გერმანიისაგან ხელახლათ მიიღო ასი ათასი მარკა კომპენსაციის სახით საჰერცოგოში დროებით ტელეფონით ცნობების მიწვდის გასაუქმებლათ.

——

როგორც ირკვევა, რუსებს დატყვევებული ჰყავთ 11,000 ავსტრიის ქვეშევრდომი რუმინიელი.

——

გერმანელები, როგორც სატახტო გაზეთები გადმოგვცემენ, ჩენსტოხოვ-ველიუნის ხაზზე გამაგრდენ, 60 ვერსის მეტ მანძილზე.

——

პლოცკში, 3 იანვარს, გერმანელების ცხენოსანი რაზმი შევიდა, ქალაქი აღებულათ და გერმანიასთან შეერთებულათ გამოაცხადა. მეორე მხრიდან ყაზახ რუსების რაზმის შესვლის უმალ გერმანელების რაზმი გაიქცა, დასტოვეს რა 10 კაცი.

——

ანტვერპენის მოქალაქეთ გამოეცხადათ დაუყონებლივ მიატოვონ ქალაქი. ასეთ განკარგულებას იმით ხსნიან, რომ გერმანელები ახლო მომავალში ინგლისის დესანტს მოელიან.

——

გაზეთების გადმოცემით, ავსტრიის მემკვიდრე ბურიანთან ერთად გერმანელების მთავარ ბინაში ყოფილან მოსალაპარაკებლათ ახლო მომავალში რუმინიის მოსალოდნელ გამოსვლის შესახებ.

——

გაზეთები იტყობინებიან, რომ ავსტრო-უნგრეთს რუმინიასთან მოლაპარაკება სურდა, მაგრამ გერმანია წინააღმდეგი გახდა.

——

კონსტანტინოპოლიდან მიღებულია ცნობები, რომ იქ პოლიციას ფონ-დერ გოლც-ფაშის წინააღმდეგ შეთქმულება აღმოუჩენია. ბევრი დაპატიმრებულია.

——

ჟენევიდან იტყობინებიან, რომ ბუდაპეშტში უნგრეთის არისტოკრატიის წარმომადგენლებისაგან შემდგარა საიდუმლო კომიტეტი, რომელსაც მიზნათ აქვს რუსეთთან ზავის ჩამოგდება.

——

ქალ. მალინას კარდინალი მერსიე, რომელიც დაპატიმრებული იყო, კელნს გზავნიან, სადაც ციხეში მოათავსებენ.

**სპარსეთის ნეიტრალიტ. დარღვევა.**

დღეს, გარეშე საქმეთა მინისტრი ინახულა პეტროგრადში სპარსეთის ელჩმა ისაკ ხანმა და განუცხადა თავისი მთავრობის სახელით, რომ რაწამს ოსმალეთის ჯარი სპარსეთის ტერიტორიაზე გადმოვიდა, სპარსეთის მთავრობამ ოსმალეთის დიპლომატიის წარმომადგენელს თეირანში ასეთი ნეიტრალიტეტის დარღვევისათვის მაშინვე პროტესტი გამოუცხადა და კონსტანტინეპოლში თავისი წარმომადგენლის საშუალებით ბრწყინვალე პორტასაც წარუდგინა ასეთი პროტესტი.

ოსმალეთმა საპასუხოთ ასეთ პროტესტზე განაცხადა: იგი ადერბეჯანს დასცლის, თუ სპარსეთი თავდები იქნება იმისა, რომ რუსეთის ჯარიც არ დაიჭერს სპარსეთის ტერიტორიასო.

ჩვენს დიპლომატიურ წრეებში კი ასე არიან დარწმუნებულები, რომ ის გარემოება, რომლისაც 1909 წ. აიძულა რუსეთი შეეყვანა ჯარი თავის მოსაზღვრე სპარსეთის ადგილებში, ოდნავათაც არ შეცვლილა, პირიქით დღევანდელი ომის გამო ასეთ ადგილებში ჯარს ესაჭიროება გამრავლება, რისთვისაც რუსეთი აიძულებს ოსმალეთს დასცალოს სპარსეთში დაჭერილი ადგილები.

თავრიზის დათმობას, დიპლომატიური წრეების აზრით, სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, რასაც შემდეგ ოსმალები ანგარიშს გაუწევენ. რაც შეეხება კაზვინს, იგი ჩვენ გვიჭერია კიდევ. დიპლომატიურ წრეებში სპარსეთის მოქმედებას ლოიალურათ სთვლიან. და რომ მოვსთხოვოთ მას წინააღმდეგობა გაუწიოს ოსმალეთს, ჩვენ ვერ შევძლია, რადგანაც ვიცით სპარსეთის დღევანდელი ვითარებაო. (უ.რ.)

# იაპონიის ჯარის გაგზავნა ევროპაში.

იაპონიის ჯარის გაგზავნა ევროპაში საჭირბოროტო საკითხია იაპონიისათვის. ამ საკითხში როგორც იაპონიის საზოგადოება, ისე ადგილობრივი პრესა ერთსულოვნობას არ იჩენს. გაზეთები „ნიცი ნიცი“ და „ძი-ძი“ იაპონიის ჯარის გაგზავნას ევროპაში სთვლიან არა თუ შეუძლებლათ, არამედ იაპონიისთვის მავნებლათაც. იაპონიის მთავრობა,—გაზეთები ამბობენ,—ჯარს გაწვრთნილ ჯარის კაცებისგან არდგენს და არა დაქირავებულ მოხალისეთაგან და ასეთი ჯარის გამოყენება „ისეთ საქმეში, რომელიც პირადათ იაპონიას, არ შეეხება“ ბოროტმოქმედება იქნებოდა და შეიძლება საერთო უკმაყოფილება გამოიწვიოსო.

იაპონიას კონტინენტში ესაჭიროება ჯარი, რადგანაც ჩინეთი მღელვარების ფუძეს წარმოადგენს, რომელიც, შეიძლება, ერთს მშვენიერ დროს, შეირყეს და უჯარო იაპონია უხერხულ მდგომარეობაში ჩაეყენოს.

ევროპაში იაპონიის ჯარის გაგზავნა ინგლისისათვისაც, არ იქნება ხელსაყრელი იმ შემთხვევაში, ინდოეთში მოძრაობა რომ დაიწყოს, რადგანაც იაპონიამ საკავშირო ხელშეკრულობის, თანახმათ უნდა თავისი ძალები გაგზავნოს.

მასთან ევროპის ჰავის პირობები იაპონელებისათვის სამარგებლო არ არის. ნივთიერათაც ნაკლებათ ისარგებლებს, რომლისათვისაც იაპონიამ დიდი სხვერპლი უნდა გაიღოს.

ოფიციოზი „ხოცი“ თავის პატარა წერილში აცხადებს, რომ იაპონის ჯარი—დაქირავებული არ არის და ამიტომ არ შეიძლება რომელიმე სახელმწიფოს ამა თუ იმ ფასში დაეთმოსო.

ევროპაში იაპონიის ჯარის გაგზავნის მედგარ მომხრეთ უფლების დოკტორი არიტა გამოდის და ამის შესახებ ვრცელ წერილს ათავსებს „ვაიკო ძიხოში“. ის ამტკიცებს, იაპონიამ აღმოსავლეთში გერმანიას გამოუცხადა რა ომი, იგი დასავლეთში გერმანიის მოსპობით არის დაინტერესებულიო, სხვანაირათ მისი გამარჯვება კიაო ჩაოში უნაყოფო იქნება... ის ადგილი, სადაც იაპონიის ჯარი უნდა დაიგზავნოს, რუს-გერმანელების ბრძოლის ველათ კი არ გახდება, რადგანაც ამ რაიონით იაპონია დაინტერესებული არ არის და არც საჭიროა. იაპონიისათვის საჭიროა სუეცის არხის დაცვა ოსმალეთის წინააღმდეგ გამოსვლით და ინდოეთში დესანტის მოხდენით ადგილობრივ წესიერების გასამაგრებლათ. ინგლისს ამ დროს შეეძლო მეტი ყურადღება დასავლეთისკენ მიეპყრო. იაპონიის ჯარი გამზადებულია საზღვარგარეთ სამოქმედოთ, ამიტომ ევროპაში მისი გაგზავნა უფლების დარღვევა არ იქნება და რადგანაც იაპონიის ჯარის სამხედრო მოქმედება მუდამ აღმოსავლეთში სწარმოებდა, ხალხის თვითშეგნებამ ამას შეეჩვია და ამიტომ ადვილი შესაძლებელია, რომ უმრავლესობამ ვერ შეიგნოს ეს განზრახვა. ყოველნაირი უკმაყოფილებისა და ყოყმანის თავიდან ასაცილებლათ, შეიძლება მოხალისეთაგან შედგეს ჯარი, მით უფრო, რომ იაპონიისთვის ეს ახალი არ არის, რადგანაც მანჯურიაში სარკინიგზო ბატალიონები ამნაირათვე არის მოწყობილი. რაც შეეხება ჯარის შენახვას, იაპონიამ უნდა იკისროს, რითაც შეასრულებს მომავალ საშვიდობო კონფერენციაზე იმ დიდებულ როლს, რომელიც შეეფერება დიდებულ ერს. ამისათვის პარლამენტმა უნდა გადასდვას თანხა. ყველაზე უფრო დაჟინებით მოითხოვს „იოროძუ“ ჯარის უსიტყვოთ გაგზავნას, მით უფრო, რომ ევროპისა და იაპონიის საქმე განუყრელიაო.

ძნელია ლაპარაკი იმაზე, სწერს ტოკიოს კორესპონდენტი „დალეკოი ოკრაინისა“, თუ როგორ შეხვდება იაპონიის ხალხის უმრავლესობა ყველა ამას, მაგრამ ის კი უტყუარია, რომ, ზოგიერთა პირის გადმოცემით, ასეთი იდეა ხალხში თანდათან ნიადაგს პოულობსო.

(კ. ს.)

# შინაური საქმეები.

1854—55 წლების ომმა რუსეთში ბატონყმობის გაუქმება დააჩქარა 1914 წლის ომმა რუსეთს წარმომადგენლობითი წესწყობილებისაკენ ერთი ნაბიჯი გადაადგმევინა წინ. და დღევანდელ ომსაც, უეჭველია, დიდმნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვება.

ამის ნიშნები ახლავე იხედება. დეპეშამ მოგვიტანა პეტროგრადიდან შემდეგი ღირსშესანიშნავი ამბავი: სამკურნალო წყლებისა და ადგილების გაუმჯობესებისათვის მოწვეულ კრებას სხვათა შორის დაუდგენია: საჭიროა, რაც შეიძლება, მალე გადაწყდეს სახელმწიფო სამკურნალო ადგილების გადაცემის საქმე ერობათა და საქალაქო თვითმართველობათა ხელში; იქ, სადაც არ არის ასეთი თვითმართველობანი, უნდა შემოღებულ იქნან; უნდა მოხდეს აწ არსებულ თვითმართველობათა რეფორმა, ანუ გარდაქმნა, დემოკრატიულ საფუძველზე; სამკურნალო წყლებისა და ადგილების მართვა-გამგეობას უნდა ედვას სარჩულად დეცენტრალიზაციის, კოლეგიალობისა და საზოგადო თვითმართველობის პრინციპი; და ამგვარი ადგილები უნდა იყოს ხელმისაწვდომი მდაბიო ხალხისათვის, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

ერთი სიტყვით, ხსენებულმა კრებამ საკურორტო საქმეში თვითმართველობისა, კოლეგიალობისა და დემოკრატიზმის პრინციპის განხორციელება აუცილებლად აღიარა.

უეჭველია, ეს პრინციპი რუსეთში უკვე საყოველთაო რწმენად გარდაიქცა. და ეს არის იმის თავმდები, რუსეთის ცხოვრება რომ განახლების გზას დაადგება.

კერძოდ ქუთაისისათვის ამ დადგენილებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ჯერ არ მიგვიღია ცნობა იმის შესახებ, როგორ შეხედა კრებამ ქუთაისის თვითმართველობის მიერ გაგზავნილ ექიმ ნაზაროვის წინადადებას, რომ წყალტუბოს რადიუმით მდიდარი წყლები აღიარებულ იქნას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამკურნალო წყლებად, მისი ექსპლოატაცია კი გადაეცეს ქალაქ ქუთაისს. მაგრამ კრების ხსენებული დადგენილებანი სავსებით ეთანხმებიან ქუთაისის თვითმართველობის წადილს.

ხსენებულ საკურორტო კრებასვე გ ეგზავნა სამი ექიმის მოხსენება ჰალა-ლ სევის სამკურნალო წყლების შესახებ. თ წყალტუბოს წყლები სასარგებლოა რე მატიზმიანებისა, ნეკრესის ქარებიანები და სხვა ამგვარი ავადმყოფებისათვის, ჰ ლა-ლესევის წყლები და ადგილობრივ ჰაერი—მკვდრეთით აღადგენს ხოლ სისხლნაკლულთ, კუჭითა და წელებითა ფილტვებითა და თირკმლებითა, ღვიძლი თა, ნერვებითა და სხ. ავადმყოფთ. სა წუხაროდ, ექიმმა ნაზაროვმა ვერ მოა წრო ხსენებულ მოხსენებათა თან წაღება მაგრამ, იმედია, მხარს დაუჭერს ჰალა-ლესევის სამკურნალო ადგილის გაუმჯობესების საქმესაც.

და, ვფიქრობ, რადგანაც რუსეთის საზოგადოებას მთავრობასთან ერთად აზრად აქვს ადგილობრივი კურორტების გაუმჯობესება და მოხმარება, ამიერკავკასია ამ მხრით ერთ პირველ ადგილთაგანს დაიჭერს და იმ ფულის დიდ ნაწილს, რომელსაც დღემდის საზღვარგარეთელი კურორტები ნთქამდენ,—ჩვენ ქვეყანა მიიზიდავს.

**ვასილ წერეთელი.**

# შენიშვნა.

**„ახალი აზრის“ მეპრესეს (№ 115**

(ნარკვევის მაგიერი.)

ჩვენმა დიდებულმა მგოსანმა აკაკ სოფლის მატყუარა ვექილების შესახ სთქვა:

ახლანდელ „აპლოკატებს“,—
ამ მჩხავანა და წუწკ კატებს,—
ვერ აწამებს ვერავინ,
ვერც ჯვარსა და ვერც ხატებს.“ ან

ჯვარი და ხატები კი არა, თვით დიდებული მარქსიც რომ გაცოცხლდეს და უთხრას ჩვენ დასელებს: „ღმერთი, რჯული ძალიან ბევრში სცდებით, რადგანაც ჩემიდან თქვენამდე დიდი დრო გავიდა და ცხოვრებამ მრავალი შესწორება შეიტანა ჩემს მოძღვრებაში, თუმცა ბევრ ჩემს ნათქვამსაც ამახინჯებთო“,—ჩვენი დასელები მაინც არ დაიჯერებენ და ისევ თავისებურათ, ძველებურათ განაგრძობენ... აზროვნება-მოქმედებას.

ძველებურის ჭკუით ზომავს „ახალი აზრიც“ ჩვენის გაზეთის პირველ ნომერში დაბეჭდილ წერილს ბ-ნ ვ. წერეთლისას... დღევანდელ ამბებს ამ გაზეთისათვის ბუზიც არ აუფრენია და თავისს მკითხველებს ძველებურათვე ართობს.

რას იზამთ: „კაცია და გუნებაო“! ნათქვამია.

„ახალი აზრიც“ თავისებური გუნებისაა და მასთან კამათი ამაოა. აი რა უნდა მომეხსენებინა ჩემის მხრივ პატივცემულ „ახალ აზრისათვის“. ბ-ნ ვ. წერეთელს კი ჩემი ვექილობა არა სჭირია. —კენჭი გაგვასწორებსო! ამბობენ ხოლმე კენჭოსნები.

იქნება თქვენც, ძველ ქურქელში ჩასხმულო „ახალო აზრო“ ცხოვრებამ მაინც გაგასწოროთ.

ველით ამ ბედნიერ დღეს!

# ახალი ამბავი.

„ალლუმისა“ და „ორი ობოლის“ რეცენზიას ხვალ მოვათავსებთ.

✦ **მგოსანი აკაკი.** როგორც გავიგეთ ჩვენი სასიქადულო მგოსანს ამ დღეებში უკეთობა ემჩნევა. მარცხენა ფეხი, რომელიც წართმეული ჰქონდა, უკვე ურჩება. 9-სა და 10-ს იანვარს, მგოსანი თავს კარგათ გრძნობდა. ნაცნობების ნახვით მგოსანს მღელვარება ემატება. ექიმები მაცადინობენ, რაც შეიძლება მნახველების რიცხვი შეამცირონ, რომ ამით მგოსანს ავათმყოფობა არ მოემატოს.

თუ სიდამპლემ კიდევ არ მოუარა მგოსანი სრულებით მორჩება.

11 იანვარს, ქუთაისიდან მგოსნის სა

**გაზეთ „იმერეთის" რედაქცია** ადგილობრივ და პროვინციის ხელისმომწერლებს დაბეჯითებით სთხოვს დროით აცნობონ გაზეთის დაკვეთა 1915 წლისათვის, რომ რედაქციის კანტორას შეძლება ქონდეს ნორმალურათ აწარმოოს გაზეთის გაგზავნა. ამასთანავე რედაქცია აცხადებს, რომ ფოშტაში მოსულია რამდენიმე უწყება „ახალ ივერიის" სახელზე, რომელი გაზეთიც გაგძელება იყო „იმერეთისა", მაგრამ ბოლო დროს იგი გაიტაცამისმა ოფიციალურმა რედაქტორმა და დღეს დახურულია. „ახალ ივერიას" არავითარი საერთო აღარა აქვს-რა დღევანდელ „იმერეთთან", ამიტომ ვსთხოვთ ფულის გამომგზავნელებს, თუ ჩვენი გაზეთისათვის არის გამოგზავნილი ის ფული, შეატყობინონ ფოშტას, რომ ჩვენ მივიღოთ.

ნახავათ რამდენიმე ახალგაზდა წავიდა.

✦ ამ დღეებში მშობლებს ცნობა მოუვიდა, რომ ბრძოლის ველზე მძიმეთ დაიჭრა ნიკოლოზ (კოლია) ბესარიონის ძე გუგუნავა, რომელმაც ამ ორი წლის წინათ ქუთაისის ქართული გიმნაზია დაასრულა.

✦ 12 იანვარს, დილის მატარებლით თფილისიდან ჩამოვიდა თფილისის სამოსამართლო პალატა, რომელიც 20 იანვრამდი ქუთაისში დარჩება.

✦ დღეს, 13 იანვარს, ქალაქის თეატრში გაიმართება შ. ა. ლიუდინის კონცერტი. შ. ა. ლიუდინი რუსული ოპერის მსახიობია. კონცერტში მონაწილეობას მიიღებს გ. მჭედლიძე, კეკელიძე და ბ. ჩახატუროვი.

✦ ამ სეზონის დამლევამდი მსახიობმა გ. არადელ იმნელმა მუშაობა კვლავ დაიწყო.

✦ ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ზუგდიდის განყოფილების გამგეობამ მდგომარე წლის 7 იანვრიდან, ქ. ზუგდიდში გახსნა ერთკლასიანი ქართული შკოლა. ბევრი მთხოვნელი, უადგილობის გამო, შკოლის გარეთ დარჩა.

✦ სამეურნეო კომისიამ ქალაქის გამგეობაში საკითხი შეიტანა, აიკრძალოს თივით, ჩალითა და სხვაგვარი საქონლის საკვებით მოვაჭრე მეურმეებს, გელათისა, პოლიციისა, ბაზრისა, კათოლიკებისა და თფილისის ქუჩაზე ურმების გაჩერება და ამ ქუჩების მაგივრათ მათ დაენიშნოსთ სხვა ადგილები.

✦ 15 ინვვარს ქალაქის თეატრში ცნობილი მსახიობი ქალის ტასო აბაშიძის საბენეფისოთ წარმოდგენილ იქნება „ორი ჯ-ბგირი", პიესა 5 მოქმედებათ და 7 სურათად.

წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ: ვასო აბაშიძე, ვლადიმერ ალექსიმესხიშვილი და გ. არადელ-იმნელი.

✦ ქუთაისის მაზრაში ახალგაზდათა სამხედრო ბეგრის მოსახდელათ გაწვევა გაგრძელდება მდგომარე თვის 15 რიცხვიდან 5 მარტამდი, ნაცვლათ მომავალი ნოემბრისა.

✦ მესხეთის ქუჩაზე მცხოვრებ ი. ქ—შვილის ოჯახში, 10 იანვარს, შემდეგი შემთხვევა მოხდა. დიასახლისს სადილის მზადების დროს მარილის მაგივრათ შეჭამანდისთვის თაგვის შაქარი მოუყრია. ამრიგათ 5 სულისაგან შემდგარი ოჯახი მოიწამლა. მათ ექიმმა გოკიელმა დახმარება აღმოუჩინა. მათი მდგომარეობა სერიოზულია.

✦ როგორც გორიდან გვატყობინებენ, ქ. გორსა და ცხინვალს შუა ავტომობილთა მიმოსვლა ამ დღეებში დაიწყება.

✦ სამეურნეო კომისიამ დაადგინა, აუკრძალოს ყაფანთან ხელზე მოვაჭრეებს ვაჭრობა, რადგანაც ეს ადგილი დანიშნულია სოფლელი გლეხებისათვის.

✦ ქალაქის გამგეობა ამ დღეებში სახელმწიფო ხაზინიდან ფულს მიიღებს ომში გაწვეულთა ოჯახების დასარიგებლათ.

✦ სანოვაგის მომწყობმა განსაკუთრებულმა კომისიამ 10 იანვრიდან ქუთაისში შემდეგი დროებითი ნიხრი დააწესა: ნავთი გირვანქა—$5^1/_2$ კაპ., მარილი (დაფქული) გირვანქა—3 კაპ., ზღვის მარილი ოყა—7 კ., გამომცხვარი პური ოყა პირველი ხარისხის—16 კ., მეორე ხარისხის—15 კ. და მესამესი კი—13 კ.

✦ ქალაქის საბჭოს სამეურნეო საზოგადოებამ დაადგინა, მწვანე ბაზარში გაიკეთოს საზოგადო საპირფარეშო.

✦ როგორც ოკრიბიდან გვწერენ, იქ ძლიერ გავრცელებული ყოფილა ყვავილი. ყვავილს ბევრი უმსხვერპლია.

✦ დღეს, 13 იანვარს, თფილისის სამოსამართლო პალატა გაარჩევს ხალილ ორუჯ ოღლის, ბ. იაშვილის, ვეფხვაძის, ცივცივაშვილის, ტიკინძისა და სხვების საქმეებს.

✦ 11 იანვარს, პოლიციის ქუჩაზე, ღამით ბენედიქტე ლეჟავას სამზარეულოდან ვიღაც ბოროტგამზრახველებმა მოიპარეს სხვადასხვა ნივთები, სულ 25 მანეთად ღირებული.

## † გიორგი მიხეილის ძე ხერხეულიძე.
### (ფოცხოველი)

გუშინ, 11 იანვარს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში დანიშნული იყო პანაშვიდი, პოლონეთის ასპარეზზე მსხვერპლად განწირულ, გიორგი ხერხეულიძის (ფოცხოველის) სულის მოსახსენებლად.

სულ ორი თვეა, რაც სიცილით და მხიარულობით გამოგვეთხოვა სიცოცხლით სავსე, დაუდევარი, მოუსვენარი და მუდამ რიდაცის მაძიებელი გიორგი და საკუთარის ნებით გაემართა ბრძოლის ველისკენ. ეს იყო გიორგობის თვის გასულს, საგიორგობოდ იგი აქვე იყო.

ბრძოლის ველიდან მივიღე მისი წერილი, 23 ნოემბერს დაწერილი, მწერდა:

„სალამი ჩემა ნიკოს და ბაბოს! მე უკვე ბრძოლაში ვარ. ზარბაზნებს გრიალი გააქვს. ორი დღეა რაც განუწყვეტლივ მთელ ფრონტზე გაჩაღებული ბრძოლაა. ჩვენი პოლკი რეზერვში (მარქაფად) სდგას და მგონი დღეს გაგვიწვევენ თხრილებისაკენ. მტერი უკან იხევს. გარს დაგვტრიალებს ჰაეროპლანები. ორი დღეა ჩვენ ძალზე ახლოს ვდგევართ უმოქმედოთ. გავდივართ ხევზე სეირის საყურებლად, თითქოს აღლუმი იყოს. ყველა როგორღაც შეეჩვია ამ ომს. ხალხი—ადგილობრივი მკვიდრნი, ყველა თავ-თავის ალაგას არის. ჯარი მათ სახლებშია და თუ დაუშენენ ხოლმე სოფელს, მხოლოდ მაშინ გადიან სოფლიდან. ყველაფრის მოწერა არ შეიძლება. ამიტომ ბევრს ვერასა გწერ. მაგრამ დღიურში შემაქვს ყველაფერი. აქ ჯერ მშვენიერი ამინდებია, თფილა კიდეც თოვლი არ არის. მგონი დღეს ჩაგვაბამენ ბრძოლაში, მტერი ხან უკან იხევს, ხან წინ მოდის.

**შენი გიორგი".**

დეკემბერში მეორე წერილი მივიღე 24 ნოემბრის თარიღით:

„ბრძოლის ველიდან.

გწერ ამ წერილს, მაგრამ წინდაწინვე ვიცი, რომ ნებას არ მოგცემენ ამის დაბეჭდვისას. თუ რისთვისმე გამოგადგება გამოიყენეთ. აქ მეტად სასტიკი ცენზურა მეფობს და არაფრის გამოგზავნა არ შეიძლება.

მე ვსარგებლობ შემთხვევით, კავკასიაში მიდის ჩვენებური და მას ვატან ამ წერილს.

აგერ 4 დღეა რაც მოველ ჩემს პოლკში და უსმენ განუწყვეტლივ ღრიალს ზარბაზნებისას.

ღამე მოსჩანს მთელს ფრონტზე სანგრები ყუმბარებისაგან გაჩენილი. სოფლელნი იხიზნებიან უკანა მახლობელ სოფლებში, სადაც ძლივს აჩერხებენ დასაჯდომ ადგილის შოვნას ოთახებში, რადგანაც ყოველ სახლში ჯარია მოთავსებული. ბოსლებშიაც ჯარი სდგას, საქონელი გარედ გამოუყრიათ. ზოგგან, სადაც გერმანელების სახლებია, პოლონელებს არ უშვებენ და საცოდავი დედაკაცები ტირილით ბავშვებით ხელში გზას გაუდგებიან ხოლმე.

სწორედ აქ გამაწყვეტინეს წერილის მოწერა: მოგვივიდა ბრძანება, ღამის 12 საათზე გზას გავდგომოდით. ფიცხლავ შევუდექით გზას, მომზადებული ლოგინი დამრჩა ისე, რომ არც კი მივკარებივარ. დანარჩენ აფიცრებს ყველას ეძინა. გავიარეთ 5 ვერსი მარჯვნივ ჩრდილოეთისაკენ (ბალტიის ზღვისაკენ) და ისევ სოფელში გავჩერდით ერთს ქოხში, სადაც ისევ ის სურათი დაგვიხვდა გამოქცეულებით. მოვთავსდით იატაკზე, გავაშლევინეთ თივა და დავიძინეთ. ღამის 2 საათზე უკვე ყველას გვეძინა. 6 საათზე გამომეღვიძა და წამოვდექი. ფიცხლავ შეუდგა ჩემი „დენშჩიკი" ყავის მზადებას და მალე მშვენიერ ყავას გიახლებოდი. ეს ყავა მოტანილი გახლავს პრუსიიდან. ზოგიერთი აფიცერიც წამოდგა და ყავა მთხოვა. გიახელით გემრიელათ და წერილის მოწერას შევუდექი. რა ხდება ეხლა პოზიციებზე, ვერას გეტყვი. მტერი იბრძვის სასტიკად და

აგერ ჩვენი პოლკები უკვე იბრძვიან 2 თვე და მტერი თვალით არ უნახავთ, თურმე სრულებით ტყუილი გამოდგა, ვითომც ხიშტებით უკუუქცევიათ ხოლმე მტერი. გერმანელები მოქმედებენ მხოლოდ ზარბაზნებით და ტყვიის მტყორცნელებით. თუ ამითი ჩვენებს არ ახევინებენ და ზარბაზნებს არ ჩაგვიჩუმებენ, მაშინ უკან იხევენ, ან რაიმე ხრიკს ამზადებენ, შეუხვევენ, გადაუხვევენ, ჩაწვებიან თხრილებში ღამე და ასტეხენ ყვირილს „ურა". აქეთ გონიათ, მტერი იერიშით მოდისო და გავლენ თხრილებიდან. ამ დროს მათ სასტიკად დაუშენენ ხოლმე და ერთიც არ გადარჩება. თუ ჩვენებმა მათი თხრილები აიღეს, შიგ არავინ არის. აფიცრები აღტაცებული არიან პრუსიის მდებარეობით და იქაური კულტურით. მათი სოფლები წარმოადგენს მშვენიერ კურორტებს; მოწყობილია სახლკარი მშვენიერი ავეჯით და უექველ ყოველ სახლში პიანინო სდგას, სამეურნეო ნაწილიც მშვენივრად აქვთ დაყენებული. ყველაფერი ბლომად აქვთ და შიმშილის ნიშნები არსადა სჩანს, ჯერ ვინ იცის, როდის მოუღებენ ბოლოს გერმანელებს! ადვილი არ არის მათი დამარცხება, ვინ იქნება გამარჯვებული, არ ვიცი, მაგრამ ღმერთმა დაიფაროს მათი გამარჯვება. რასაც ახლა ვხედავ ამ უხეირო მდგომარეობაში, რა უნდა იყოს ხეირიან მდგომარეობაში. მაშინ აღარავის დაგვედგომება. ყველაფრის მოწერა ძალიან მეძნელება. უკვე იმდენი ნანახი და გაგონილი მაქვს, რომ ამას მთელი ტომი მოუნდება. გთხოვთ ეს წერილი შეინახოთ, რადგან, თუ ცოცხალი დავრჩი, მასალად გამომადგება. როგორც ეტყობა, მტერი ისევ სცდილობს ვარშავისაკენ წაწევას. ახლა 50 ვერსით სდგას და მთელ ფრონტზე საშინელი სროლაა დღე და ღამ. თუ მოვესწარ, მოგწერ კიდევ.

**გიორგი ფოცხოველი.**

ეს იყო უკანასკნელი წერილი და გიორგი მართლაც ველარ მოესწრო რისამე მოწერას. ამას შემდეგ ჩვენი თანამშრომელი ავქსენტი აბესაძე გვწერდა 5 დეკემბრის თარიღით:

„2 დეკემბერს, ნაშუადღევის ორ საათზე მძიმედ დამჭრეს. მარჯვენა ფეხი მაქვს მოტეხილი.

გარდა ამისა მწუხარებით ვაუწყებ რედაქციას და მთელ ქართველ საზოგადოებას, შტაბს-კაპიტან გიორგი ხერხეულიძის გარდაცვალებას. მოკლულ იქნა სოხაჩოვიდან 12 ვერსზე. თხრილები, სადაც გიორგი იყო ჯარით, გერმანელებმა ყუმბარებით აავსეს. გიორგიც ყუმბარამ იმსხვერპლა. დაწვრილებით შემდეგ. წერა არ შემიძლიან, სუსტად ვარ."

ამას შემდეგ კიდევ მივიღეთ ერთი წერილი, რომელიც დაწვრილებით გადმოგვცემს თუ რა პირობებში დაიღუპა გიორგი ხერხეულიძე:

„მდინარე ბზურის გაღმა,

25 ნოემბერს მოჰკლეს თავ. გიორგი ხერხეულიძე, რომელიც წინა საღამოს ჩემთან იყო და ამბობდა: ტყვედ ჩავარდნას, სიკვდილი მირჩევნიაო. ჩაიცინა და მითხრა: „ხომ გახსოვს ცხრა ძმა ხერხეულიძე ისტორიაში. ისე მოვიქცევი, რომ სიკვდილს ვამჯობინებ ტყვედ წაყვანას." მართლაც ასე მოხდა. ისე შემოარტყეს ალყა, რომ ან ტყვედ უნდა წასულიყო, ან სიკვდილი ედგა თვალწინ. მაშინ ორი ჯარისკაცი იყო მთლად ახლოს მის გვერდით და ჰკითხეს: „რა ვქნათ, თავადო?" მან უპასუხა: „მე მინდა მოვკვდე მამულისთვის, ოღონდა თქვენ მებრალებით და თქვენი სიბრალული შემარცხვენს, დღეს ვხედავო." მაშინ ორივემ მიუგო: „თქვენთან სიკვდილი ჩვენთვის სიცოცხლეა და როგორც გინდოდეს ისე მოიქეციო." მაშინ წამოდგა წინ, ბევრი ზარალი მისცა მტერს, თვითონაც მოჰკლეს. ის ჯარისკაცები ერთი იყო რუსი, მეორე ქართველი. ეს ქართველი იქვე დარჩა. რუსი გამოიყვანეს სხვა პოლკის ჯარისკაცებმა. მან მითხრა ტირილით:

„Потерялъ дорогого князя, который любилъ насъ, какъ брата." ორი საათს შემდეგ იგიც გარდაიცვალა. მერე ვეცადე როგორმე გამომეტანა გიორგის გვამი, მაგრამ ის ადგილი, სადაც იყო მოკლული, მაშინვე მტერმა დაიპყრო და ვერ შევიძელი. მე, რადგანაც წამოსვლას ვაპირებდი, წინად წერილი მომცა და ფულიც გადასაცემად კნეინასათვის. უნდა მიმეტანა ჩემი ხელით, მაგრამ ახლა, რადგანაც ამისთანა უბედურება მერგო წილად, რომ პირველათ ჩემგან უნდა გაიგოს მან გიორგის სიკვდილი,—ეს კი არ შემიძლიან,—წერილი და ფული გადავეცი ერთს კარგ ქართველს და იმედი მაქვს შემისრულებს"...

დეპეშები მაინც გაიგზავნა პოლკის უფროსთან, მთავარ შტაბში და ბოლოს ადგილობრივმა სამხედრო შტაბმაც ოფიციალურად დაადასტურა, რომ „შტაბს კაპ. გიორგი მიხეილის ძე ხერხეულიძე ჭრილობებისაგან გარდაიცვალაო".

ბრძოლის ველმა მოგვტაცა და გულს მიიხუტა სამშობლოს გულისთვის მფეთქავი სიცოცხლით აღსავსე მოსიყვარულე გული. იგი მუდამ ჩვენს ცხოვრებას დასთრთოდა უნაზესი სიყვარულით და რამდენადაც გარეგნულად უდარდელი და უზრუნველი მოსჩანდა, იმდენათ უფრო ღრმად იყო მისის სევდა-ნაღველი ჩვენი ქვეყნის ბედისწერაზე. იგი მხურვალე თანამშრომლობას უწევდა ჟურნალ „თეატრი და ხელ." მის კალამს ეკუთნის რამდენიმე პიესა და მოთხრობები. სამი მისი რვეული ახლაც მე მაქვს დასაბეჭდათ გამზადებული. განსვენებული სულ იმის ოცნებაში იყო, რომ როგორმე ცალკე წიგნად ენახა გამოცემული თავისი ნაწერები, მაგრამ ულმობელმა ბედმა აღარ დააცალა.

განისვენე მშვიდად, ჩემო ძვირფასო, ჩემო ტკბილო მეგობარო!

**ნ. კურდღელაშვილი.**

## გიორგი ხერხეულიძე.

P. S. მე მინდოდა ცალკე ნეკროლოგის დაწერა უდროოდ დაკარგულ ქართველ მწერლისა, მეომრის და ჩემი უგულითადეს მეგობრის გიორგი ფოცხოველის შესახებ, მაგრამ იმაზე უკეთესს და მეტს, რაცა სთქვა ჩვენმა საერთო ამხანაგმა ბ-ნმა ნ. კურდღელაშვილმა—ვერას ვიტყვი რადგანაც მეც ისევ ის წერილები—იმავე თარიღითა და შინაარსისა—მაქვს ხელში. ალბათ საცოდავ გიორგის ორივესათვის ერთსა და იმავე დროს გამოუგზავნია წერილები: არ შემიძლია არ დავუმატო მხოლოდ მცირე რამ. გიორგი ხერხეულიძე მსხვერპლია არა მარტო მტრის ტყვიისა, არამედ იგი მსხვერპლია ჩვენი საზოგადოებრივ მოუწყობლობისა და დაუდევრობისა.

გიორგის, რომ თავის დროზე ეშოვა თავშესაფარი ერთ ერთ ჩვენ საზოგადო დაწესებულებაში, ის დღესაც ცოცხალი იქნებოდა და ასე უდროოთ არ დაიკარგებოდა ჩვენი ღარიბი მწერლობისათვის.

მერე როგორ უყვარდა, როგორ ეტრფოდა საქართველოს და მის აყვავებას!

ასეთი სიყვარული, ასეთი ტრფობა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია და კიდევაც ის გულსაკლავად, რომ სწორედ რჩეულებს შეასვამს ხოლმე ეს უკუღმართი ცხოვრება ტანჯვის ფიალას!...

განისვენე ძვირფასო, ძმაო გიორგი, და თუ არსებობს სადმე უკვდავება სულისა უკვდავ ჰყავ ანდეძი შენი ჩვენ შორის!

**ია ეკალაძე.**

## ომში დაჭრილი ქართველი ჯარის-კაცები.
### ბაქოში.

ბაქოსა და იმ რაიონების ლაზარეთებში ამ ჟამად სამასამდე ქართველი მეომარია მოთავსებული. მშობელ კერას მოწყვეტილი და თავისიანებს მოშორებული, ჭრილობებისაგან და ავადმყოფობისაგან დასუსტებული ქართველი მეომარი დიდ ნუგეშსა და სიამოვნებას განიცდის თანამემამულის ნახვით, მასთან ლაპარაკით და აზრთა გაზიარებით. ამაში შეუძლიან ყველა დარწმუნდეს, ვინც მცირე შრომას მიიღებს და მათ ინახულებს. ქალაქში ორმოცზე მეტი ლაზარეთია, თითოეული მათგანი ერთმანეთზე დიდ მანძილზეა დაშორებული, ნახვაც მხოლოდ განსაზღვრულ საათებშია ნებადართული და ყოვლად შეუძლებელია რამდენიმე 4–5 პირმა შესძლოს [illegible] ყურისგდება. [illegible] ლაზარეთში მოთავსებულ ჩვენებურ ჯარისკაცებს მზრუნველობა გაუწიოს ცალცალკე პირმა—წიგნები, ჟურნალ-გაზეთები მიაწოდოს და სხვა. ამისთვის მოვუწოდებთ ყველას, ვისაც ჩვენი თანამემამულეებისადმი გული შესტკივათ ჩაეწერონ ქართულ სკოლაში და ერთ-ერთ ლაზარეთში სიარული თავს იდვან. ვთხოვთ აგრეთვე ყველას და წ. კ. მთავარ გამგეობას მოგვაწოდონ ჟურნალ-გაზეთები და წიგნები. ჯარის კაცებს განსაკუთრებით აინტერესებთ, როგორც ახლანდელი, ისე ჩვენი მეფეების წინანდელი ომები, გმირების ცხოვრება და მოღვაწეობა. „ასპინძის ომს", გ. სააკაძეს და ასეთ შინაარსის წიგნებს დიდის ხალისით ეწაფებიან.

**ებრაელების ლაზარეთში 18 დეკემბერს ჩამოყვანილნი.**

1) გუნცაძე ირაკლი სოლომონის ძე, მარცხენა ხელშია დაჭრილი, შორაპ. მაზრა ს. კვალითი.

2) ახობაძე გიორგი დიანოსის ძე, სამტრედია, მარცხენა ხელშია დაჭრილი.

3) მჟავია გერასიმე მოსიკოს ძე, გურიიდან, ს. ციხიფერიდი. მარჯვენა ხელშია დაჭრილი.

4) ჭვირჯიევი გიორგი ლაზარეს ძე, ს. ურაველი, ახალციხის მაზრა, მარჯვენა ხელშია დაჭრილი.

5) ნინოკაშვილი ლექსო გიორგის ძე, ს. ხიდისთავი, გორის მაზრა, მსუბუქადაა დაკოდილი.

**პუშკინის სკოლაში.**

1) გიგაური სოლომონ დავითის ძე, დუშეთის მაზრა, ს. ყაზბეგი, ფეხი სტკივა.

2) კამლაძე ილია ბეჟანის ძე, ქუთ. მაზრა, ს. სვირი, გაცილვებულია.

3) ჯავახიშვილი სერგო ალექსის ძე, გორის მაზრა, ს. აძვისი, გაცივებულია.

4) გაბაშვილი ალექსი ლაზარეს ძე, თფ. მაზ ს. სართიჭალა, გაცივებულია.

5) ქავთარაძე ივანე თამაზას ძე, თფ. მაზ., ს. ახალსოფელი, სტომაქი აქვს მოშლილი.

6) ბივნიცკი გიორგი სერაპიონის ძე, ფთ., ბრონხიტით არის ავად.

7) ებრაელიძე ხარიტონ პახომის ძე, გურია, ლანჩხუთი, ტიფი სჭირს.

8) გვასალია რემა ეგნატეს ძე, ზუგდიდის მაზ. ს. ხორშა, გაცივებულია.

9) მანაგაძე კოწია ივანეს ძე, ლეჩხუმი. ს. აფრტი, ქარებით არის ავად.

10) თხილავა მიხეილ იასონის ძე, ქუთაისის მაზრა, სამტრედია, გაცივებულია.

11) ხარებაშვილი შაქრო რაჟდენის ძე, გორის მაზრა ს. რუსთავიდან. ტიფი.

12) თოთორბიშვილი იასე ბესარიონის ძე, ფეხები აქვს დამძრალი.

13) კოკაია მიხეილ დუტუს ძე, სენაკის მაზრა ს. დოშაპყე. მარჯვენა გვერდი სტკივა.

14) ჩხეიძე ისაკი ნიკოს ძე, გურია, ს. აცანა, დაკოდილია მარცხენა მუხლში, ფეხებიც დამზრ.

15) კოზერიძე თედორე ფარსადანის ძე, რაჭა, ს. ცხომრი. მარცხენა ფეხში არის დაკოდილი.

16) კახიანი ფილიმონ მიხეილის ძე, ქუთაისის მაზრა. დაჭრილია მარცხენა მუხლში.

17) ვართანოვი იაკობ ხეჩუას ძე, ორივე ფეხი აქვს დამზრალი.

18) არველაძე სტეფანე პეტრეს ძე, რაჭა, სოფ. თხმორელი, დაკოდილია მარჯვენა ფეხში.

19) ზაღოშვილი ექვთიმე ტიტეს ძე, თელავის მაზ. ს. ფიჩხოვანელი, მსუბუქათაა დაჭრილი.

20) ქარცახაშვილი გრიგოლი ლაზარეს ძე, ახალციხის მაზ. ს. უდისა, ორივე ფეხი დამზრ.

21) ხარებაშვილი ლევან ნიკოს ძე, თელავის მაზრა. ს. ალმათი. დაჭრილია მარჯვენა მკლავში და ბარკალში.

22) ქობალია ალექსანდრე დავითის ძე, ზუგდ. მაზ. ს. კორცხელი. ფეხები აქვს დამზრალი.

23) ცაგურია ყარამან მურზას ძე, გურია. ს. ნაბაკევი. დაჭრილია მარჯვენა ფეხში

24) ღიბრაძე პარმენ საჩინოს ძე, ქუთაისის მაზ. ს. სვირი. მარცხენა მხარშია დაჭრილი.

25) ჯავახიშვილი ალექსანდრე მიხეილის ძე, თფ. გუბერნია. მარცხენა ფეხშია დაჭრილი.

26) პაკსაშვილი ლადიმერ რომანოზის ძე, შორაპნის მაზრა სოფელი ამაშუკეთი. დაჭრილია მარჯვენა ხელის ცერში.

27) კურტანიძე იოსებ მახარას ძე, შორაპნის მაზრა ს. ამაშუკეთი. დაჭრილია მარცხ. ხელში.

28) მიროტაძე ივანე როსტომის ძე, ჭიათურიდან. ზურგში დაჭრილი.

29) თარგამაძე ნიკო გრიგოლის ძე, ს. საჯავახო, გურია გაცივებულია და მძიმეთაა ავათ.

30) ქალარია დიმიტრი, სამურზაყანო ს. ბედია. დასუსტებულია.

31) ვოლოშვილი ნიკო სოსოს ძე, კახელია, მალარია აქვს.

32) გიორგაძე ნიკო ეგნატეს ძე, გურია ს. საჯავახო. ფეხები აქვს დაზიანებული.

ბუდაგოვის სკოლაში.

1) ბერძნიშვილი იაკობ ბეჟანის ძე, თიანეთის მაზრა ს. ერწო. მარჯვენა ფეხი აქვს დამზრალი.

2) ვალიაშვილი ეგნატე კიჩას ძე, გორის მაზ. ს. საბოლოკე. მარჯვენა ფეხშია დაჭრილი.

3) ნადაძე შაქრო ალექსის ძე სიღნაღის მაზრა ს. შიბლიანი ფეხები აქვს დამზრალი.

4) ხორბალაძე მიხეილ დიმიტრის ძე, გორის მაზრა ს. დოგვესი. ფეხები აქვს დამზრალი.

5) ბეგლარაშვილი მოსე ივანეს ძე, გორის მაზრა ს. დოვესი. ფეხები აქვს დამზრალი.

6) ალბეირაშვილი მიხეილ საზანას ძე, გორის მაზრა ს. ცხავერი. ფეხები აქვს დამზრალი.

7) ზირაქაშვილი ჯანდიერ ნიკოლოზის ძე, სიღნაღის მაზრა ს. შიბლიანი. ფეხი აქვს დამზრალი.

8) ბეშკენაშვილი გიორგი ალექსის ძე, გორის მაზ ს. შინდისი.

9) ქელენტი კოწია, იოსეს ძე, გურია ს. ჩოხატაური. გაცივებულია.

10) სხირტლაძე ანდრია იოსების ძე, რაჭა ს. ახალსოფელი. ფეხები აქვს დამზრალი.

11) ფაშიშვილი შიო ზაქარას ძე, გორის მაზ. ს. ძევვი. გაცივებულია.

12) ჩხუტაშვილი მიხეილ ყარამანის ძე, ქ. თფილისი. მარჯვენა მკლავშია დაჭრილი.

13) შავიშვილი ფილიპე ბეჟანის ძე, გურია ს. ლეხური. გაცივებულია.

14) სოფრომაძე ირაკლი ივანეს ძე. ქუთაისის. მაზრა ს. საწირე. მარცხენა ფეხშია დაჭრილი.

15) ბალახაშვილი ანტონ სტეფანეს ძე, ახალციხის მაზრა სოფ, უდე. გაცივებულია და სლომაქი აქვს ავადი.

16) კუხალაშვილი ნიკო ოტიას ძე, ქუთაისი. გაცივებულია და გვერდები სტკივა. ცალ ყურში არ ესმის.

17) ელიაშვილი ალექსანდრე ანდრიას ძე, ფეხების ქარებითაა ავად.

18) შურაია გაიოზ სიგოს ძე, სენაკის მაზ. ს. კიწია. ფეხი სტკივა.

19) ბენდუკიძე დომენტი დიმიტრის ძე, თფ. ფეხები აქვს დამზრალი.

20) ამირეზაშვილი დავით ალექსის ძე, გორის მაზ. ს. ზემო-ხანდაკი. მარჯვენა ხელი და მუხლები აქვს დამზრალი.

21) ბალახაშვილი ალექსი პეტრეს ძე, ახალციხის მაზრა ს. უდე. მუხლების ქარებითაა ავად.

22) თოლაშვილი იორდან ზურაბის ძე, გორის მაზ. ს. შინდისი. მუხლები აქვს დაზრალი.

23) ქარაშვილი გიორგი კარდინას ძე, დუშეთის მაზრა. მარჯვენა ყური დამზრალი აქვს.

საშუალო სატეხნიკო სასწავლებლის ლაზარეთში.

1) ღარიბაშვილი ილიკო სოლომონის ძე, გორის მაზრა ს. რეხა. მარჯვენა ფეხშია დაჭრილი.

2) ნამურაძე ივანე მიხეილის ძე, გორის მაზ. ს. ქარხვრელი. დაჭრილია მარცხენა ხელში.

3) გოგიჩაშვილი იოსებ გრიგორის ძე, გორის მაზრა ს. რუისი. მარცხენა ხელშია დაკოდილი.

მ. კაკაბაძე.

მისამართი: ბაქო, ქართული სკოლა.

# თეატრი და ხელოვნება.*)

კინის ცუდათ ჩატარებისთვის არ ვიტყვით, რომ განგებ შეთქმულნი ყოფილიყვნენ ჩვენი მსახიობნი, რადგან ყველა ისე თამაშობდა, როგორც მუდამ თამაშობენ ხოლმე.

ზომოდ აღწერილი საუცხოვო სცენა, —ყველა ხელოვნების ოდნავ მცოდნეს მაინც,—ჩაუშწარა ლორდმა (ბ. ფრანგიშვილი), თუ მსახიობს უნდოდა დაცინვა გამოესახა—არ გამოვიდა და თუ ეცინებოდა—ალბათ თავის თავს დასცინოდა.

საკმარისი იყო გრაფ კეფალდის (ვ. გუნია) გამოსვლა, რომ ჩემს მეზობელს ეთქვა: „ღმერთო ჩემო,—მუდამ ერთი და იგივე! ერთგვარი სიარული, ერთგვარი ხმა, ერთგვარი მიხვრა მოხვრა და თან საშინელი რუსული მახვილები (ხმის ამ ლლებანი) ქართულში." მეზობელ მსმენელის სიტყვებს იმიტომ მივაქცევ ყურადღებას, რომ იგი არ არის თეატრალი, მით უფრო სპეციალისტი ამ საქმისა, არამედ ჩვეულებრივი მაყურებელი ქართული წარმოდგენებისა, თუმცა ინტელიგენტი და გემო განვითარებული ადამიანი.

ასეთი შენიშვნისათვის მით უფრო მტკივა გული ბატონ გუნიასთვის, რომ იგი გამოცდილი, ნიჭიერი მსახიობია, საკმაოა მცირედი შრომა, დაკვირვება და ადვილად შეუძლიან ყოველივე ეგ თავიდან აიცილოს.

გული მომიკლა უელსის პრინცმა (დ. მგალობლიშვილი). სანაძლეოს ვდებ, რომ ასეთი პრინცი არ უნახავს არც დედამიწას და არც ზეცას, არც რომელიმე დრამატურგის ფანტაზიას. იგი სავსებით ბ. მგალობლიშვილს ეკუთვნის. გიკვირს, როდესაც თავით ფეხამდი უკემურობის განხორციელებას წარმოადგენს ასეთი გემოს და შნოს პატრონი ახალგაზდა მსახიობი, დათა მგალობლიშვილი ყველა როლებში ერთი და იგივეა, ერთი და იგივე მიხვრა მოხვრა, ანუ უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, გრეხა აქვს. რათა? რისთვის? აბა ნახოს ცხოვრებაში, თუ ვინმე ჩადის ასე, ან დააკვირდეს თავის საკუთარ თავს—თუ სცენის გარეშე სადმე და როდისმე დაიგრიხება ასე მგალობლიშვილი არასოდეს. მაშ რა მიზეზია. რა დააშავა სცენამ? სცენაზე ჩვენ გვინდა ცხოვრება—ნამდვილი, ჭეშმარიტი ცხოვრება. რაც უფრო სინამდვილეს დაუახლოვდებით, მით უფრო სანუკვარი იქნება ჩვენი სცენა. სცენის პირობითი ხასიათი ბატონებო, სრულებითაც არ არის იქ და იმაში, სადაც თქვენა გგონიათ.

მწყინს გული, რომ მეტად ნიჭიერ მსახიობი ქალი—ტასო აბაშიძე შაბლონს ვერ გასცილებია, მით უფრო, რომ ეს ადვილი საქმეა მისთვის. რად არ გაირჯება მსახიობი უფრო ღრმად ჩაიხედოს თავის გრძნობათა სალაროში. იქ მოსძებნოს და ააჟღეროს ის ჰანგები, რაც ამა თუ იმ როლსა სჭირია.

რა ქნას ქ-მა დავითაშვილმა, მიუხედავად უხვი სასცენო მასალისა — სასწაულის მოხდენა თუ არ შეუძლია. რეჟისორი ეუბნება ალბათ ქ-ნ დავითაშვილს: გაისარჯეთ და 24 საათში გახდით გრაფის მეუღლე, გახდით ლედი ფალი და სხვ. და სხვ. რა ვუსაყვედუროთ მსახიობს, თუ საქმის ხელმძღვანელთ არ ესმით ზემორე დასახელებული მოთხოვნის აბსურდობა. დაე თვით საქმის გამგეებმა გვიჩვენონ ასეთი სასწაული და ჩვენც ვერწმუნებით. მაგრამ რომ არა! იქ სადაც დევიზია: **როგორმე** და არა **როგორ**—მუდამ ასეთი აბსურდებით გაგვიმასპინძლდებიან. მიუხედავათ ყოველივე ამისა ორი-სამი ლამაზი, შნოიანი ხაზი მაინც ჰქონდა ქ. დავითაშვილს.

მარიამ მდივნის ასული იმდენად შეპყრობილია ტრაფარეტით, რომ მუდამ, რა როლიც არ უნდა ჰქონდეს, ერთგვარი აქვს თავის დაჭერა, წარბის შეკვრა, ღიმილი, მწუხარება. აღნიშნულ წარმოდგენაში იყო მხოლოდ მცირედი ნასახი იმისა, რასაც შეიძლებოდა მოეგონებინა ანნა დემბი, მაგრამ ვშიშობ, რომ ამას მხოლოდ გამჭრიახი თვალი თუ შეამჩნევდა, თორემ დარბაზისთვის გამოუცნობელი დარჩა. ვინ იყო ანნა დემბი? ალბად ყველას თუ ეგონა ანნა დემბი და მ. მდივანი ერთი და იგივე პირია.

ნატ. ჯავახიშვილი—ფხიანი მსახიობი, კომიკური ნაპერწკლებით და ტემპერამენტითაც უხვად დაჯილდოვებული სრულიად გაუგებარი იყო ემმას როლში.

ვ. ურუშაძე ცდილა დაეჭირა სახედრიური ლენის თეატრის რეჟისორისა, მაგრამ იმდენად შორს გაქცევია, რომ ლანდიც კი ვერ დაუხსოვნებია. ცდისთვის მადლობის ღირსი ბ. ურუშაძე.

თუმცა ბ-ნ მურუსიძეს მეტად პაწია როლი ჰქონდა, მაგრამ აქაც ჩანდა ამ მსახიობის ნიშანდობლივი თვისებანი. რომ შესაძლებელი იყოს და უფლება მომცა ბ. მურუსიძეს შიგ შუაგულ ჯოჯოხეთში ჩავაგდებდი. იქნებ ჯოჯოხეთის გენია—ცეცხლს მაინც გაედნო მისი მოუხეშაობა. ხელოვანი ოპერატორის ხელში შესაძლოა ბ. მურუსიძე გამოსადექი შეიქნეს. დასასრულ უნდა აღვნიშნოთ რომ ბ. შალიკაშვილის სოლომონი—გულკეთილი, ნაზი გრძნობის მოხუცი—მშრალი გამოვიდა ბ. შალიკაშვილის ხელში. უნდა გამოვტყდეთ, რომ ეს ნიშანდობლივი სენია ბ. შალიკაშვილისა, განსაკუთრებით ლექსო პიესებში. ქართულ რეპერტუარში ეს სენი ბ-ნი შალიკაშვილისა იშვიათად იჩენს ხოლმე თავს. ზოგან სრულებით ჰქრება.

რეჟისორის დიდი შეცდომა იყო უკანასკნელი სცენის ნაწილის პარტერში გადატანა.

ვერც გრაფის ლოჟა იყო შნოიანი. ნუ თუ ყველგან და ყოველ პიესაში ხალიჩები უნდა იყოს. დავიჯეროთ—თეატრს არ აქვს საშუალება 20—30 არშინი მაუდი იყიდოს? ეს ხალიჩები ხომ თეატრის საკუთრება არ არის და მათი ქირით 30 არშინ მაუდს საკუთრებათ შეიძენდა თეატრი.

ვერ გავიგეთ ვინ იყო პიესის რეჟისორი. აფიშაზე მესხიშვილია აღნიშნული, პროგრამაში შალიკაშვილი. ასეთი დაუდევრობაც არ არის კარგი საქმე. საჭიროა პროგრამაში აღნიშნულ იქნას მოქმედების რიცხვი, სახელი და გვარი, როგორც ავტორის, ისე მთარგმნელისა, რასაც ვერ ვხედავთ კინის პროგრამეში.

თუმცა სათქმელი კიდევ ბევრი გვაქვს, მაგრამ ამ ჟამად ეს ვიკმაროთ. დანარჩენი სხვა დროს.

უნდა გავაფრთხილოთ ჩვენი თეატრის მესვეურნი, რომ ჩვენ მოვითხოვთ საქმეს, სერიოზულ საქმეს. დროა ძველ გზას ავუხვიოთ, გავცდეთ ჭაობს და მოვძებნოთ ანკარა წყალი.

მალატ.

*) იხ. „იმერეთი" № 6.


# სავაჭრო დ. ქებამისა.

ვორონცოვის ქუჩა.

**იყიდება** ნარდათ ყოველგვარი საბაკალეინო საქონელი უტეხარ ფასებში. 10—3

მოიკითხეთ ყველგან

## „ახალი ქართლი"

გამოდის ქ. გორში, კვირაში ორჯერ ხუთშაბათობით და კვირაობით

ცალკე ნუმერი ერთი შაური

| დაკვეთის ფასი: | 1 წლით | 6 თვით | 3 თვით | 1 თვით |
|---|---|---|---|---|
| | 5 მან. | 3 მან. | 1 მ. 50 კ. | 50 კ. |

ხელის მოწერა მიიღება: „ახალი ქართლი"-ს კანტორაში, სამეფო ქუჩა № 15. თფილისში, ივ. ავალიშვილთან, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მაღაზიაში და გაზეთის თფილისელ აგენტთან, ვიქტორ მექანარიშვილთან, დუშეთის ქ. № 21.

მიიღება ხელის მოწერა 1915 წ. ყოველკვირეულ სალიტერატურო, სახელოვნო და საზოგადოებრივ ჟურნალ

## „თეატრი და ცხოვრება"-ზე.

ჩვეულებრივის პროგრამით ივ. გომართელისა და იოს. იმედაშვილის რედაქციით.

ფ ა ს ი: წლით 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., თითო ნომერი 10 კაპ. ფულის შემოტანა ნაწილნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 2 მ., მარტის გასვლამდე 2 მ., დანარჩენი 1 მ. ენკენისთვის 1.

ხელისმოწერა მიიღება: რედაქციაში („სორაპანი"-ს სტამბაში) დილით 9—2 საათ., საღამოთი 5—7 ს., ჟურნალ-გაზეთების კანტორა „განთიად"-ში, „ცოდნა"-ს წიგნთსავაჭროში, რკინის გზის სახელოსნოში—ალ. ძაძამიასთან.

მიიღება განცხადებანი ჟურნალში დასაბეჭდათ ფული და ყოველგვარი მასალა უნდა გამოიგზავნოს იოს. იმედაშვილის სახელზე. ფოსტის მისამართი: Тифлисъ, Ред. „Театри да цховреба" Іосифу Имедашвили

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

# ქ. ქ უ თ ა ი ს ი

მოსკოვის უდიდესი ფირმა

ა მ ხ ა ნ ა გ ო ბ ა

# „ნ. უდალოვი და ი. ვავილოვი"

პატივისცემით აუწყებს ბ.ბ. მყიდველებს და კლიენტებს, რომ მან სრულ საკუთრებათ შეიძინა პარტიობით საქონლის საწყობი და წვრილი სავაჭრო მაღაზია ჰაებზე დამყარებული ამხანაგობის

„ს. მ. კირაკოზოვი და ბ. გ. ოგანოვი"-ს,

რომელიც მდებარეობს ქუთაისში, გიმნაზიის ქუჩაზე, ქალაქის ბაღის პირდაპირ.

როგორც წარმომადგენელს **პროხოროვის ტრიოხგორნი სამანუფაქტურო ამხანაგობისა** ამხანაგობა „ნ. უდალოვს და ი. ვავილოვ"-ს

აქვს დიდი საფაბრიკო საწყობები სამანუფაქტურო საქონლის **მოსკოვში და როსტოვში**, რის გამოც მას შეძლება ექნება ქუთაისის განყოფილებისათვის მუდმივათ იქონიოს დიდძალი ასარჩევი საუკეთესო სამანუფაქტურო საქონელი სხვა-და სხვა ცნობილი ფირმების.

**თ. ა. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.**

1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება . . . . 20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . . . 20 „
3) მღ. პ. ცქიტიშვილი ლოცვანი, პირველდაწყებითი შკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . . . 15 „
4) ქართული მოძრავი ანბანი ქაღალდზე . 10 „
„ იგივე, კარდონზე გაკრული . . 25 „
„ იგივე, ორ და სამ-კომპლექტიანი . 50 „
5) ს. ყიფიანი. შაქარას ნაამბობი . . 3 „
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона Божія . . . . 20 „
7) ს. გორგაძე. საქართველოს ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა . . . . . . 35 „

**აქვე იმყოფება საწყობი შემდეგი წიგნებისა.**

1) გუთანი, ოჯახსა და შკოლებში საკითხავი წიგნი, შედგ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფიანის მიერ, სურათ., მესამე გამოც., ყდით . 85 „
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყებით შკოლებისათვის, ყდით . 20 „
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . . . . . 50 „
4) არქიმ. ნესტორი (ყუბანეიშვილი,) პირველდაწყებითი დარიგება სღვთო სჯულის სწავლებაზე . . . 30 „
5) ა, ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . . . . . 50 „
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე XIX ს. ქართ. ლიტერატურის შესახებ. ტ. I. . 70 „
7) მისივე. იგივე. ტ. II. . . 70 „
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი, ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . . . 20 „
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., ყდით . . . . . 15 „
10) ა. ჭიჭინაძე. პირველდაწყებითი ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყდით . 60 „
11) ნ. ნიკოლაძე. ჩემ პოლიტიკაზე . 10 „

რუსული და ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ. თ.